ღვაწეობს, ქართული სკოლის მასწავლებლად და მსახიობად. 1905 პარიზს მიემგზავრება სწავლის შესავსებად. 1907 წ. პირველად გამოდის სახალხო თეატრში, როგორც ქართული დასის მსახიობი.

მას მერე ელეონორნიკაშვილი არ მისცილებია ქართულ სცენას. ის უმთავრესად დაბა-ქალაქებში ტრიალებდა და ერთი უმთავრესი ძალთაგანი იყო მოგზაური დასისა.

ელეონორნიკაშვილის ეკუთვნის პირველი აზრი და თაოსნობა საქართველოში საბავშვო თეატრის შექმნისა. მან ამ საგნის თაობაზე ვრცელი მოხსენება წარადგინა 1921 წ. „თეო“-ში და ამის შემდეგ მოიკიდა ჩვენში ფეხი საბავშვო თეატრის დაარსების საქმეში.

მასვე ეკუთვნის საცეკვაო ჟურნების დაარსების თაოსნობაც.

დრამატულ მწერლობაშიც შეტანილი აქვს თვისი წვლილი. სთარგმნა პიესები: „რუთიფუნია“, „ლინგელისა“, „ომი“ არკიბაშვილისა, „მზის საიდუმლო“, — გიეიერისა, „ზვი ლაქა“, დასწერა მოთხრობა „გორა მასილაშვილი“ და სხ.

პირველად ელეონორნიკაშვილის სასცენო მოღვაწეობას გადევნა კავკავში, სადაც ის მასწავლებლობდა 1903—4 წლებში.

იმ დროს კავკავის ქართულ სკოლასთან არსებულ სცენის გარშემო თავს იყრიდნენ სამკობლ გულმოდგინე და უნარით აღჭურვილი სასცენო ძალები. აქ იყვენ: ელეონორნიკაშვილი, ელ. სოლოგვარაძისა (პროფ. ხახანაშვილი დაი), მელო ხიძ.

- კატასტროფამ მოაკონა დავიწყებული სატრფო მუსიკა, პარნასზე აცოცების მადაც გაუღვიძა და, ვით შეჭაფერის ქართველის ბუნებას, მცირე და იოლი შრომით, დიდი ნაყოფის მიღებას ლამობს, მაგრამ ვერ მივართვი, ის დრო წვიდა.
- ვალ. (იციანის) კარგი თუ მბა ხარ, ნუ მომსპე კაცი.
- ელმ. მოხარული ვარ თქვენი გაცნობის...
- ვალ. ავგრადე მეც. ქალბატონო ელბადა.
- ელმ. (ელბადას) ჩემი გულწრფელი განზრახვაა დაგასალოოთ თქვენ და ესენი.
- ელმ. სიამოვნებით ვეგებები თქვენს განზრახვას. (ალექსის) რათა სდგებართ, ბატონო, დაბრძანდით!
- ვალ. უკაცრავად, უნდა გიხახლოთ, დრო ნებას არ მამძლებს.
- ელმ. რაკი ასეა, რა გაეწყობა... (ელმშერს) ვალიკო (ორივეს ხელს ართმევს და გადის).
- ელმ. გიორგიმ ამას შვილი უნდა გაუწყობინას მათემატიკაში. (პიჯაკის ჯიბიდან ამოიღებს შოკოლადის ლამაზ კოლოფს და ელბადას გადსაცემს) მითრთვით შოკოლადია... დღეს მხოლოდ ეს მოგიტანეთ.
- ელმ. თქვენ თუ რამე არ მომიტანეთ, ისე ხომ არ იქნება.
- ელმ. კარგი ერთი!. როგორ გიკითხოთ! თვალები წამოგსივებით, იჩრებ იტირით?

- ელმ. დიახ ვიტრიც.
- ელმ. ახ, როგორ მტანჯავს... არა ელბადა, ცრემლები არ გიხვდებათ. მუშტარება თქვენი, ისედაც ღრმა და ლამაზია. (თითით ემუქრება) არ გამაჯავროთ, თორემ ვიფიქტებ და შეიძლება უშახკო სისხლოც დაიღვაროს.
- ელმ. ბატონო, სულ ასე მემუქრებით, მაგრამ ერთხელაც ვერა ენახე თქვენი აფეთქება.
- ელმ. ნახავთ, უფოოდ ნახავთ. მართლა ჭუმრობა იქით იყოს და თუ ოჯახში ყოფნა თქვენზე კვლავ ცუდათ მოქმედებს, უშჯობესია ისევე უსან დაგაბრუნოთ.
- ელმ. ეს არ მოხდება.
- ელმ. რატომ?
- ელმ. ისე, როგორც ყველაფერი, მაგის უფლებაც დავკარგე
- ელმ. არ გაბედოთ ენის შემობრუნება, ნუ დაივიწყებთ, რომ მე ამ ოჯახის დროებითი დიკტატორი ვარ!
- ელმ. ღმერთო ჩემო, რა კაცია..
- ელმ. დიდი კაცია, რამდენჯერ უნდა გითხრაოთ! დიახ, ჩემო ბატონო, ასე იციან ჩვენში! (ძიუნა) დღეს მიღეთ განზრახ დატოვებთ მარტონი.
- ელმ. და მით მელტად აუტანელ მდგომარეობაში ჩაამყენეთ!
- ელმ. როგორ?

(დასასრული უნდა წავიკარო)



შიაშვილისა. მასწავლებლები: ლ. ბოკაძე, გ. უტუჩაშვილი, არ. ავალიშვილი, მამ. მარკოზაშვილი, ნ. დ. ყაზბეგი, ფ.-ტ. შოთელაძე, თხელიძე, ხარჯ.-ინსპ. ბ. ვირსალაძე, თ. სარაჯიშვილი, ხელნაწები: ვანო მესხიშვილი, ქ. კახიანი, ექიმი მ. კალანდარიშვილი, ამ სტრიქონების დამწერი და სხ. რეჟისორობდა იას. შერ. ლორთქიფანიძე. სათაეტრო საქმეს, როგორც სკოლის საქმესაც, სკოლის ჩამდგმელად ევლინებოდა იოს. შვილიძე და სკოლის გამგე პარ. გიოთუა. დიდს დახმარებას უწევდა აგრადე მღვ. გ. ნათაძე.

ამ დროს კავკავში დაიდგა „ლალატი“, „არსენა“, „ძიწწი“, „სამზობლო“, „ბაიუშნი“, „დილა ქორწილის შემდეგ“, „ლეკის ქალი გულჯავარ“, „და-მია“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“, „ხანუშა“, „პეპო“ და სხვ.

წარმოადგენებს აუარებელი ხალხი ესწრებოდა. ამ ხანებში კავკავში ყოველწლივ იმართებოდა ტრადიციული ქართული სიღამო, იანვრის 14-ს, ნინოზა და ღღეს, რასაც დიდი ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა.

მთელი კავკავის საზოგადოება, ეროვნებისა და წოდების განურჩევლად, ისე ავსებდა სკოლისა და თეატრის დარბაზებს, რომ ნემსი არ ჩაივდებოდა. ერთხელ ამ სიღამოს დაესწრო თერგის ოლქის უფროსიც. ეს პირი იმ დროს დიდი ვინმე ბრძანდებოდა.

დარბაზში გაიმართა ცეკვა. ელო ანდრონიკაშვილმა ცეკვა ლეკური და ისეთი ალტაცება გამოიყვია, რომ ოლქის უფროსმა იკითხა: ვინ არის ეს ბალეტის მოცეკვავე ქალი? როდესაც შეიტყო, რომ მასწავლებელი იყო, მას კი ვერ შეზებდა და სკოლის სასარგებლოდ შეწერა 100 მგ.

მაგრამ ელო ანდრონიკაშვილის ცქრიალა ცეკვამ უფრო ფართე და დიდ საზოგადოებში მოიხიფება სახელი.

ეს გახლდათ პარიზში 1908 წ. პარიზის ქართველობამ (60-ზე იყვნენ) ა. შინგტონ ჰალაცა-ში გამართა დიდი ქართული საღამო.

აუარებელი საზოგადოება დაესწრო: ფრანგები, ინგლისელები, გერმანელები, რუსები და სხვ. საღამოზე მოწვეული იყო განთქმული მოცეკვავე ქალი პეტია, რომელმაც თავისი ნარნარი ცეკვით ალტაცებაში მოიყვანა საზოგადოება. უშველებელი და უშემწინერისი თაიგული მიართვეს. ტანისა და ალტაცების გრამიზულში გაისმა ძახილი:

— ანდრონიკოვა, ანდრონიკოვა!

პეტიას შემდეგ ერცხვინებოდა ელოს ცეკვა, მაგრამ საზოგადოება არა სცხვრებოდა. მაშინ ელომ, ქართულ სპრტყელ-გულის პირიანი კაბით, ცქრიალით ჩამოუარა დაღლური და ლეკური. მის ცქრიალს ფეხდაფეხ მისდევდა ქულაჯაში გამოწყობილი, ტანდაი და დინჯად მოძრაი ყოფი ანდრონიკაშვილი. დარბაზში საოცარი სიჩუმე გამეფდა. თითონ პეტიაც სულაგანაშული ცქრად ვადაიქცა.

ცეკვის დასასრულს, ალტაცებულ ტანისა და ვაზას ძახილს დროს, პეტია წამოიჭრა, მიეგება ელოს და ის მიძღვნილი თაიგული მისთავაზა:

— ამ თაიგულის ღირსი თქვენ უფრო ხართო.

ეს მცირეოდენი მოგონებანი გამახსენდა ელო ანდრონიკაშვილის სიღამოს გამო. რომელიც ამ დღეებში გაიმართება.

ესსურებ, რომ მას კვლავაც თაიგისებური მოსიყვარულეობით და თავგამოდებით ენახებოდნენ ქართულ სცენისათვის, და აგრადე განეხატებოდნენ თავისი დიდი ხნის ნატვრა სახეველო თეატრის აღორძინებისა და სათანადო დონეზე დაყენებისა ჩვენში.

საკანი.

როგორი ხელოვნება გვჭირდება ახლა

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 1, 1924 წ.)

10. ამის შემდეგ რა უნდა ეწოდოს ამ კულტურას, თუ არა ამ კლასის სახელი? დიად პროლეტარიატის უპირატესობა და ისტორიული სივობაც, სხვათა შორის, იმაში მდებარეობს, რომ მისი კულტურა, როგორც მთელი რამ ისტორიულ პროცესში საერთო-საკაცობრიო ხდება, რაც ასეთი როლი არც ერთს წარსულ კლასს არ ჰქვამოდა წილი.

11. ბურჟუაზიული კულტურა, როგორც მთელი რამ თავის სულით, მიმართულებით, შედეგით და საერთო ხასიათით არა საერთო კაცობრიულია, არამედ ის მხოლოდ ბურჟუაზიულია. ეს არ ითქმის პროლეტარულ კულტურაზე: ის პროლეტარულიც არის და იმავე დროს საერთო კაცობრიულიც.

12. ბურჟუაზიამ არ უწოდებ თავის კულტურას თავისი სახელი, არამედ მთლიან საკაცობრიო, სახალხო კულტურა ანუ „ცივილიზაცია“ დაარქვა და ეს ჩაიდინა, ცხადია, იმიტომ, რომ ამით მან დაფარა თავისი კულტურის არა კაცობრიული ხასიათი და არ გაამტაცა მისი ვიწრო კლასობრივი (ბურჟუაზიული).

13. ხოლო პროლეტარიატს დასაფარავი და მოსატყუებელი არაფერი აქვს, ვინაიდან მან კარგად იცის, რომ მისი კულტურა ამიტვე დროს საერთო-კაცობრიულიც არის და ამიტვე ის არც ერიდება, როგორც ამას ბურჟუაზია სჩადის, თავის კულტურას თავისი სახელი უწოდოს: მისი დევიზი ყველგან და ყველაფერში სიზარულ და სინამდვილე: იგი ყველაფერს თავის ნაშვილ სახელს არქმევს ხოლმე.

14. რაც შეეხება პროლეტარული იდეოლოგიის შემოქმედების პროცესს ისტორიაში, უნდა ითქვას, რომ იგი ახლადელ გარდამავალ ხანაში (პროლეტარულ-დიქტატურის ხანაში) არ დაწყებულა და, ცხადია, არც დასრულდება; იგი ჯერ ისევ მონათმულობელი საზოგადოების წიაღში დაიწყო და მას აქვთ მომდინარეობს და დღეს ვეებერთელა მდინარედ იქცა.

15. ხელოვნებაც, როგორც კულტურის დარგი, არის ბურჟუაზიულიც და არის პროლეტარულიც და ცხადია დღეს გარდამავალ ხანაში. მსოფლიო



პროლეტარულ რევოლუციის დროს და ისიც პროლეტარულ სახელმწიფოში, საბჭოთა რესპუბლიკაში ის ისეთ სახეს და ელფერს მიიღებს, როგორც ამას პროლეტარიატის სახელოვნო ხელმძღვანელი ორგანიზაცია საჭიროდ დაინახავს.

16. აქ სამუშაოთა და საქმის ამრევი, ხელის შემშლელი გარემოება ისაა, რომ ხელმძღვანელის პირდაპირ როლს რამდენიმე ორგანიზაცია კისრულობს, სახელდობრ: 1) "არაბისო", 2) "სოფროფის კულტურცენტლი", 3) "მთავარ პოლიტგანის სამმართველო", 4) "პროლეტკულტი" და 5) "სახვანკომის მთავარი სახელოვნო საბჭო" (ანუ კომიტეტი), რომლებიც თავისი მხრივ მხოლოდ და მხოლოდ კომპარტიის დირექციებში და კომუნისტური პრინციპებით უნდა ხელმძღვანელობდნენ, რაც ნამდვილათ არ ხდება.

17. გარდა ამისა უფლება კომპენტენტის განსახლება და "პარალელუზნის" თავიდან ამორეცხვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ამ ორგანიზაციებს, სახელმწიფოში ერთი მთავარი ხელმძღვანელი ორგანო ჰყავს, რომელიც ერთ განსახლებულ სახელოვნო პოლიტიკას აწარმოვებს.

ხოლო იმისთვის, რომ ეს ერთი განსახლებული სახელოვნო პოლიტიკა ჩვენში სისწორით გატარდეს, საჭიროა საერთო ზემოაღნიშნულ დებულებას პრინციპის გარდა დეფოლბორივი ხასიათის პრინციპებზე გამოვარკვითო.

18. საქართველოში, მაგალითად, მეტად მწვავედ დას ენის საკითხი. საერთოდ ჩვენში კულტურის სავითარ ენა რუსულია, ხოლო მკითხველი, მსმენელი და მაყურებელი, ენის მხრივ სხვა და სხვანი არიან: ქართველები, სომხები, რუსები, თათრები და სხვა... თვითველი ამ ენის წარმომადგენლები, ცხადია, მოითხოვენ ხელოვნებას თავის ენაზე, რათა ის მათთვის მისაწვდომი გახდეს და ხელმძღვანელი სახელოვნო ორგანიზაცია იძულებულია ამ მოთხოვნას ანგარიში გაუწიოს.

19. შემდეგ: ხელოვნებაში ენის გარდა ვადამკრელი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ ყოფა ცხოვრებას (БлаТ) და სტილს და თუ სომეხს, რუსს და ქართველს და თათარს თავ-თავისი ყოფა-ცხოვრებიდან არ უჩვენეთ ხელოვნური ნაწარმოები და მასთან ეროვნული სტილი არ დაიცავით, არამედ მხოლოდ უცხო ანახვეთ, ხელოვნებით მას ვერ დაინტერესებთ და ვერც დააკმაყოფილებთ, თუნდა ეს უცხო ერის ნაწარმოები დიდად ხელოვნური იყოს.

20. ჩვენი ხალხი უმეტესად წვრილი წარმოების ხალხია, მსხვილი-მანქანური წარმოების სკოლა მას ჯერ არ გაუვლია; მაშინ, როდესაც პროლეტარული კულტურა და ხელოვნება ამ მსხვილი მაშინურ წარმოების ტენიკის ხასიათიდან და ვითარებიდან გამომდინარეობს, ამ ტენიკის სულის გამოხატვაა. ამიტომ იგი ჩვენი ხალხისთვის ძნელად მისაწვდომია.

21. მთელი ჩვენი მუშაობის განსაკუთრებული ხასიათი იმაში უნდა გამოიხატოს, რომ პროლეტარული კულტურა, ხელოვნება ჩვენი ხალხისთვის

მისაწვდომი გახდეს. ყველა ამ დებულება-პირობიდან ქართულ ხელოვნების ხელმძღვანელთათვის და თვით ხელოვნათვის შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს:

ა) **გადმოვიღოთ** ქართულ ენაზე გარემო ერების ბურჟუაზიული ხელოვნებიდან მოლოდის, რაც პროლეტარული კულტურისათვის, რკონცეპტ მალაქო კულტურისათვის წარსული კულტურებიდან მისაღებ სამკვიდროს შეადგენს, პროლეტარულ იდეოლოგიასთან შეთანხმებულია და რაც ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მის ეროვნულ სტრუს შესაგვისება, უახლოვდება; სხვაგვარა ბურჟუაზიულ-კულტურული ქმედება უარსაყოფია, იგი მხოლოდ ისტორიული მუხურების საგანძურია და მეცნიერული კვლევების მასალა.

ბ) **შევქმნათ** ქართულ ენაზე პროლეტარული ხელოვნური იტირებულება, რომელიც ქართველი მშრომელი მისის შესაძლებელ პროლეტარულ (და არა წვრილ ბურჟუაზიულს) სულისკვეთებას განმარტავს, მის ყოფა ცხოვრების პროლეტარულ ტენდენციას გვიჩვენებს და პოლიტიკურად გამარჯვებულის მსხვილ-მანქანურ სამრეწველო პროლეტარიატის იდეოლოგიას მხატვრულ ფორმებში გადმოკვეცენ.

გ) **შევისწავლით** ყველა კულტურული ერების, როგორც ძველების, ისე ახლების, როგორც ქართველის ისე გარეშე ხალხების ხელოვნების ისტორიას, თუ რა განვითარების სახეები და საფეხურები განვლო მან კაცობრიობის ეკონომიურ-პოლიტიკური და სოციალური ცვალებადობის პროცესში დღემდე და სახელოვნო პროლეტარული კრიტიკის ბრძნვეში გავატაროთ ყველა დღემდე შექმნილი "მიღწევანი" და სახელოვნო ნაწარმოებნი, რომ პროლეტარიატისთვის საჭირო და ვარჯის უფარვისის და არასაქროსაგან გავარჩიოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერც რასმე საჭიროს გადმოვადებთ და ვერც რასმე საყურადღებო დირებულებას შევქმნით.

ყოველივე, რაც ამ სამ ძირითად მოთხოვნებებს არ აკმაყოფილებს, დაუზოგავათ უგუვადებულ უნდა იქნას.

აი ამ სამი ძირითადი დებულებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ ჩვენ ჩვენი სახელოვნო არა თუ მარტო სახელოვნო, არამედ მთელი კულტურის პოლიტიკის ანუ პროგრამის გატარების საქმეში.

რაუდენ კალაძე.

„დაისის“ უმარსულება

პირველ რიგში შემსრულებელთა შორის უნდა დავაყნოთ ივ. სარაჯიშვილი (მალხაზ.)

დღე სიქვან: სარაჯიშვილის ხმას დაეკარგა სიძლიერე, სიმჭახლე, მაგრამ ჩვენ კიდევ ვიტყვი, რომ სარაჯიშვილის მავიერიობას დღეს (და შეიძლება დიდ ხანსაც) ვერაფერ გასწევს. მისი გრძნობა, მუსიკალობა ისევ დიდად სჩქებს, როგორც კასკადი.

ჯერჯერობით მხოლოდ ივ. სარაჯიშვილის შეუძლიან ატაროს ქართველ ვოკალისტის სახელი. მალხაზის პარტიის შესრულებით მომდინარეობს კიდევ ერთხელ ნათილჰკოთ თავისი დიდი მუსიკალური

ნიქი. სცენაზე შემოსვლის უმაღლეს სარაჯიშვილმა მსწრაფლ აკრიფა ზ. ფალიაშვილის გაბნეული მარგალიტები, შეისუნთქა ყოველი მუსიკალური სულის ბგერა და გააბა თვისი ხმით ჯადოსნური ძაფი სცენასა და მაყურებლის შორის.

მიზნედილი, საველი ლირიზმით აღსავსე გრძნობით წაიყვანა პირველი მოქმედების არია: „თავო ჩემო ბედი არ გიჭერია“.

მე გგონია, ეს სიმღერა მხოლოდ ვანო სარაჯიშვილის ხელში იპოვის ესთეტიურ სახვას. აქ მომღერალმა დიდი ხელოვნებით წაიყვანა დაბალი ნოტები და, მიუხედავად იმისა, რომ აქ ორკესტრი არ არის ისე გამჭვირვალე როგორც სხვა ადგილებში, სარაჯიშვილმა მაინც სძლია ამას და თავისი დიდი ვოკალური კულტურით არია შეასრულა მხატვრულად და ყოველი ფრაზა დაამთავრა ჰარმონიულად. ესეთი ვირტუოზიული შესრულება და გადმოცემა რჩეულთა ხვედრია.


აღსანიშნავია მალხაზის სიკვდილის სცენის გადმოცემა: „დაშვიდილი ძარო, გული იჯერე“ სარაჯიშვილისებურ ფრაზიობით იყო გამართული.

ერთი დიდი ღირსება ამ მომღერალის, სხვათა შორის, ისიც არის, რომ მშვენიერ შკოლასთან ერთად მას აქვს სცენიური ნერვი და დრამატულ მომენტების შევზნება; სარაჯიშვილმა იცის ლამაზი ფრაზების მოცემა, რაიც ამას მეტად ხელს უწყობს მისი მშვენიერი სუნთქვა, მან იცის აგრედე მხატვრული ზომიერება, ისეთი ნიუანსების გამოყოფა, რომელსაც სხვ მომღერალი იშვიათად თუ შეამჩნევს და მუდამ და ყოველთვის სარაჯიშვილს თან ახლავს მუსიკალური დიდი ექსპრესია და ტემპერამენტი.

ეფექტიან გარეგნობით-კი სარაჯიშვილი ჰგავნდა გრაალის კოშკიდან ჩამოსულ ბრწყინვალე რაინდს.

შემდეგ მოქ. პაპოვა და კრიჟანოვსკი დიდი მადლობა ასეთ დიდ ენერჯის დახარჯვისათვის. თავისთავად ცხადია, თუ ეს ირი დიდი მომღერალი რა დაბრკოლებას გამოივლიდნენ ქართულ სიტყვების ისეთ სწორად და მკაფიოდ გამოთქმისათვის, როგორც ჰქონდათ პატივსაცემი პაპოვას და კრიჟანოვსკის.

მოქ. პაპოვამ ამ საღამოს გვიჩვენა თვისი ხმის რესურსები. იშვიათი ვირტუოზობით გაუ-



„დასია“ ზ. ფალიაშვილის, I მოქ. ვანო სარაჯიშვილი—მალხაზი.

მკლავდა მომღერალი ქალი მაროს მეტად მაღალ ტრესტურას. მშვენიერი არია „მუჭურ ვარსკვლავო“ და სხვა ადგილებიც შესრულებულ იქნა დიდი არტისტიკულობით. ამ საღამოს პაპოვას კოლორატურა განსაკუთრებით მომჯადოებელი იყო.

ბარიტონი კრიჟანოვსკი (კიაზო) მშვენიერი მომღერალია. მისი კარგი თვისება, როგორც მომღერალის, არის იშვიათი მუსიკალობა. ამ საღამოსაც ასეთივე მუსიკალობით წარმოსდგა ჩვენს წინ. მისმა მკაფიო ქართულმა დიქციამ ხომ გაკვირვებაში მოგვიყვანა.

მოქ. ისეცემი საველებით გაიმარჯვა ისეთ სახასიათო პარტიაში როგორც არის ხუმარა ცანგალას პარტია, აქ შეიძლება შარემი ვადასელო,

მაგრამ ისეცის მხატვრულმა ზომიერებამ დაჰბადა ნამდვილი ჰუმორი და სალი კომიში.

მეტად კარგი ტიპი მოგვცა ახალგაზრდა მომღერალმა გ. თუმანიშვილმა (ტიტო). მკვირცხლი მოძრაობით გალაღებული და სიციხელთ სავსე ენერგიით ვადმოგვცა თუმანიშვილმა ეს როლი. ეოკალური ვადმოკმებით მომღერალი თუმანიშვილი ამ მკვირ ხნის ვანმავალიში წინ წასულა. ახალგაზრდა მომღერალს ექნება მომავალი თუ, რასაკვირველია, იგი შემდეგშიც ასეთ მუყაით შრომით განავრძობს მუშაობას.

ოპრა მიჰყავს ისეთ მესტროს როგორც არის ივ. ფალაიშვილი. ივ. ფალაიშვილი დირიჟორის ადგილზე—ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი მომღერალი იმ საღამოს დამარცხებული არ იქნება. ივ. ფალაიშვილი დიდი ისტატია; იგი ვაბავეს ისეთ გამაერთიანებელ ჯაქვს მომღერალთა და ორკესტრის შორის, რომ ურთიერთ თანხმობით მუსიკალური მეტყველება ნათელი და სწორე ჰყოს.

დადგმის მხრივ „დაისში“ დიდი შრომა მიუძღვის როგორც რეჟისორს კ. მარჯანიშვილს, ისე მხატვარ ვ. სიღამონ-ერისთავს. ამ უქანასწენელს ჩვენ რეცენზენტები ნაკლებად იხსენიებენ. მაგრამ ვ. სიღამონ-ერისთავი ვაკლებით მეტის ღირსია, იგი მხატვარია დიდი რანგის და მხატვარი ქარ-

თული სულის მხატვრები. ვ. სიღამონ-ერისთავის ჩემის აზრით, პირველი მხატვარია ქართულ ტრის. ქართულ კოლორიტს და სტილს ისე არავინ გრძნობს როგორც ვ. სიღამონ-ერისთავი. „დაის“-შიაც ვანამეტყივა ეს ჩვენს აზრით. მხატვარმა ერთხელ კიდევ ვადაშალა ქართული ბუნების ნამდვილი ყოფა და თავისი ყალბით მოგვცა მეტად დამახასიათებელი და ორიგინალური შტრიხები.

ფერადები აქ ეყვადებს სცენაზე და მათ შორის დაუსრულებელი ეყვება და თამაშია. თვალმკრელ ხეულებით აფერადებულია აქ ყოველივე ხაზი და მერე აქტის დეკორაციის ფონი ვადაშლილია, როგორც მისი ხალისი და მშვენიება. „ღამის თევა“ სრულ სინამდვილის ილიუზიას იძლევა, ხოლო მასში ვაბნეული ფერები ხასხასებს როგორც ქრელი ფოთლები. ჩვენ აქ საყვებით არ შეგვიძლიან შეგერდეთ, რადგან სათქმელს ვ. სიღამონ-ერისთავი ბევრს იძლევა და მის შესახებ უნდა დავიწროს ცალკე წერილი.

დაბოლოს უნდა ვსთქვათ: „დაისი“ ჩვენთვის დიდი თეატრალური მოღვენაა, რომელიც დარჩება ქართულ საოპერო რეპერტუარაში „ამესალომ და ეთერ“-თან ერთად და ვაამარებს ჩვენს მუსიკალურ ხელოვნებას.

ვახანგ ვარსკი.

შეპირებული მისერისმონსტელა

პეის 6 მოქ. და 12 სურ.

დადგმისათვის საჭიროა—მთავარი რეჟისორის ვარდა—4 რეჟისორი, 8 თანაშემწე, 16 სცენარიუსი და არც ერთი მოქარნახე; მხატვრები, ზუსიკოსები, მოქანდაკენი, მომღერალნი და მოცეკვავენი —ლუწებათ.

თეატრის გამგე—კენტად, თავისი წყვილ-წყვილი თანაშემწეებით, ადმინისტრატორებით, კონტრალიორებით, კაპელდინერებით და მრავალი სხვა „ანიორებით“.

მოქმედიათობენ:

- შვილის მამა
- მამის ცოლი
- ცოლ-ქმრის ვაჟი
- ვაჟის ჩოჩორი

აღამის ხახე—(ლეღის ფოთლებში ვახეულო) ხაბაოთ ღმერთი (ღრუბლების ტახტზე მგდომარე)

მოქმედება I. სურათი I.

გაუფუხარულენიკი.

სცენა: ბრინჯ-ბრუნჯ ტრახ ჯკარით. შუაში ყვითელი.

შვილის მამა მოვესწარით. მამის ცოლი—არა გრცხენიან? ცოლ-ქმრის ვაჟი—მომწყდით თავიდან.. ვაჟის ჩოჩორი—(ყროყინით) ეგრე! ბაბუა ჩემია, როს მგელი მოხუცდა, წიხლით კბილები ჩაამტკრია.

შვილის მამა—ვატყობ მავასაც ვეზიანს...

მამის ცოლი—მანამ ნურა უქამია.

ცოლ-ქმრის ვაჟი—ბედის ნუ ყბეღობთ (ორივეს ყელში სწვდება, ერთს ბრინჯზე ჩამოკობს, მეორეს ბრუნჯზე. თავზე ჯვარს დაეფამს. მოაჯდება ჩოჩორს, და ვახსწევს სინდღობით: „გაუღნიმუს ივტურა...“)

აღამის ხახე—(ლეღის ფოთლებიდან თავს გამოჰყოფს) ხედავ საბაოთ? „ო, ტემპიოა, ო, მორეს!“

ხაბაოთ ღმერთი—დანაშაული მარტო შენა ხარ!

აღამის ხახე—მუს რა ვადანს სი? აბა, რათ მომიხვი ვეგრდით ძემუტე-აკოკრებულს ივე? (სრულებით მოულოდნელად გამოხრება ევა, ფარდის ჩამოშვებამდე ტიტველია, მერე ჩაიკვამს).

ევა—(ქონაზიხალას ხმაზე) აი, ეხლაც აქა ვარ, აქა ვარ, აქა ვარ. (ტრიალებს)

ხაბაოთ ღმერთი—(რისხებით, რომელიც უფრო მასხარაობასა ჰვავს) დაბნეული მზეო! (უფრო ვანათდება. ვაისმის ქეთო და კოტეს უფერტილა, ხოლო უფრო ტრაგიკულად) ვანო ხარველი. (დასასრული შენდგე ნომკრში)

სახალხო თეატრის ქართული დრამის გაგეგმვა



სხედან: ს. ახვლედიანი (თავმჯდომარე) ს. ტორთაშვილი, ილ. ჯელიძე (თავმჯდ. ამხანაგები) და ი. ვარაზაშვილი; სტანან: ი. ბეხელიძე, კ. ხალირაშვილი (მოლარე), ნ. კვერნაძე (მდივანი) და ი. ელიაშვილი.

რ ე ც ე ნ ზ ი ა

ქართული თეატრი იანერის ორს თავის დღეობას ზემოიბდა. ამ დღის ლარლი მხოლოდ ის იყო, რომ ქართ. თეატრმა ჩვეულების წინააღმდეგ, უცხო პიესა წარუდგინა საზოგადოებას ნაკვალად ორიგინალური შემოქმედებისა: წარმოადგინეს უკვად მოლიერის „გაზნაურებელი მდაბიო“, მაგრამ ეს გზის გადახვევა მსახიობთა ხელოვნებამ გამოისყიდა. უწინ, განსაკუთრებით ერისთავის პიესებში, მსახიობნი თუ საზოგადოების დიხმ იწვევდენ სომხურ-რუსულ იმერულ სიტყვების გასასაცილოებით, დღეს უმთავრეად თავისი ხერ ოგურის აღსრულებით აჯალოვებდენ მაყურებელს. უწინ თუ ქართველ მსახიობს ძნელად წარმოიდგენდით უცხოეთის ტიპებში (არ ვეხებით კ. შესხსა და ლადო შესხსივილს), ახლა ვერ იტყვიდით, თუ თქვენს წინ კლასიკური „ფრანცუზები“ არ იდენენ.

მუშა-მსახიობი ნ. გოცირიძე, გ. დავითაშვილი, ვასაძე, ჟორჯილიანი, ტ. აბაშიძე, ჯავახიშვილი და მთელი ახალგაზრდობა, რომელნიც თავისი ხელოვნური სახეცელოებით იმდენად გარდაქმნილიყვენ, რომ ვერც კი ვიცანით,—დიად, ყველა ესენი თავისი მონაწილეობის მალა საფიზურზე იდგენ.

დიდი, დიდი ნაბიჯი გადასდგა ქართველმა მსახიობმა: მისი ხელოვნება ევროპეული დადამლული მსახიობის წინაშე აღარ გაწითლდება.

მსმობ-რეცისორთავან თავისი მოვალეობის შესრულება იყო მალა ხელოვნური, ყოველმხრივ უნაკლო, მრავალ საზოგადოების მხრივ შეგებება—გულწრფელი.

წარმოდგენის დასასრულ რეცისორ-მსახიობნი საზოგადოებას წინაშე წარსდგენ მილოკით.

საზოგადოებამ გულწრფელი მადლობა უძღვნა იობი.

სახალხო თეატრის ქართული დრამის დასმა თავისი ხელოვნების სილიად გვიჩვენა ნ. შოქვაშვილის მშენიერ პიესა „სულილი“-ში. ყველა აღმსრულებელი ერთი მეორეს ეცილებოდა როლის უკეთ შესრულებაში და ამგვარად შექმნეს ველურ ნაზ ყვაილთა თაიგული. გ. თაზიშვილი, ეს მუდამ მოხდენილი და შეგნებული მსახიობი, ამ საღამოს გენერლის როლში ნამდვილი გენერალი იყო: ხელოვნებაში: კობელმა, ახალგაზრდა მსახიობმა დიდის დაკვირვებით, მშენიერის ელფერით განასახიერა განგებ მოსულეე ბარათაშვილი, ეს ძველი წყობილების ასაფეთქებლად შეთქმულთავანი, კობელმა თავისი დაკვირვებული თამაშით მოლოდინს გადააქარბა. ასევე უნაკლონი იყენ იანჭოშვილი, ივრელი, მინდელი, ლორთქიფანიძე, ჭანჭავაძე და სხ. აქ ვერ ნახავდით ვის დიდი როლი ჰქონდა, ვის პატარა, ყველა თავის როლში დიდებული იყო.

იგივე პიესა გაიმართეს ქართული თეატრის დღესასწაულის დღეს—იანვრის 14 ან ანთი კიდევ უფრო მეტად აღნიშნეს თავისი ნამდვილი დანიშნულება მშობლიურ სასცენო ხელოვნების წინაშე.

პიესა დასდგა მ. ლვანიჩავამ. დასწრე საზოგადოება დიდის გულდასმით ისმენდა პიესას და აღმსრულებელთა ვაჟა შუქაძენა, მართლაც და ვაჟა ამ დიდი საქმის პატარა, მაგრამ სასახლო მუშაობ.

ერთი რამ გვერითარი: ამ სახალხო თეატრში თეთვ ხალხს ნაკლებ შეიმარწვეთ,—მუშა-მშრომელი ხალხი არ სჩანს.

რამაა საქმე?—ეს თეატრი უმთავრესად მუშა ხალხს უნდა ემსახურებოდეს და თუ ამის ელოდება რამ: მაღალი ფასი და სხ. უნდა ძლეულ იქნას. კარი გაუღეთ ფართოდ მუშა მშრომელ ხალხთა,—თუ საქარა, ფასი დაღუპვით, ბილეთები მიაწოდეთ ქარხნებს და სხე.

უხვაინა.

ქართული სახელმწიფო საზავგუო თეატრის დასმა ს. წერეთლის რეჟისორობით ყუფ. მეიერ თეატრში (რუსთველის პრ. № 10) წარმოადგინა დღემდე. 18 „კოტეს დანაშაული“, ნინო ნაკაშიძის, ხოლო იანვრის 6-ს „ჯადოსანი წყება“ ჭვასილიევისა (ტუგანოვის მიზან-სცენებით). აღმსრულებელთაგან აღსანიშნავია მარგო და როშინი (ქალიძე). ქანი მარგო გაღმასულია სომხურ სცენიდან. თუ იმეკადინა, იგი თავისი ნიჭით და გამოცდილებით საპატიო ადგილს დაიკავებს ქართულ სცენაზე. ბნროშინი (ქალიძეს) დამთავრებული აქვს ჩოჟის დრამატ. სტუდია, ბუნებით ნიჭიერი და ხელოვანი მსახიობი. ზემორე ხსენებულთა გარდა უნდა მოგვხსენიოთ მაკო ქართველიშვილი, კობელი და ვარდოშვილი, როგორც მუყაითი მსახიობ-მომუშავენი. ახალგაზრდათაგან დიდს ყურადღებას იქცევენ გულნარა, ზამთარაძისა და მკვლელოშვილი: ამათ ეტყობათ სასცენო ნიჭი, აქვთ მოხდენილი ვარჯიშობა და სცენაზე თავის დაჭირის უნარი. მეცადინეობა სკარდებათ.

ორივე წარმოდგენას რეჟისორის ხელი ეტყობოდა,—პიესები კარგად იყუ მომზადებული, მსახიობნი ერთსელოვნად ასრულებდენ ნაკისრ როლგს და მრავლად შეკრებილ ბავშვებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვეს.

როგორც ვიცით, სე. წერეთელმა ამ დასის შექმნის დიდ შრომა მოინდო და სასურველ შედეგსაც მიახწია. წარმოდგენებზე დასწრე უამრ ბავშვების აღტაცება გვიჩვენებს, რომ ასეთი თეატრი დღემდისაც საჭირო იყო და მით უმეტეს დღესაა აუცილებელი.

დიდის მაღლობის ღირსნი არიან ამ საქმის თაოსანნი, განსაკუთრებით სოციალურ აღზრდის მმართველობა, რომლის მუჯრველობით და შეწყობით მოეწყო ეს თეატრი.

საჭიროა ზეგობრივი და ნიეთიერი დახმარება, რათა რეჟისორმა და დასმა თავისი დანიშნულება პირნათლად შესრულონ, თორემ სცენის სლიატაკე ურეკვიზიტორობა და სხ. ამ ფრიად საჭირო საქმეს დაღუპავს.

დასში მიწვეული არიან, სხვათა შორის: ტუგანოვი მთავარ რეჟისორად, და სახალხო სახლის მსახიობქალი ნინო მინდელი.

ხელოვნებთა წარმატებას.

კენტი.

ტყობულობის მაღაროების შეკრებულ კლუბში ადგილობრივი დრამოები ნაწულად მართავს წარმოდგენებს. ამ წრის თაოსნობით იანვრის 2 გაიმართა ქართ. თეატრის 74 წე თავის აღსანიშნავი საღამო. დღესასწაულის მშობლივლმა დასწრე საზოგადოებას გააცნო ი. აბუსაძეს მომხრეებელმა მკაცრად ასწა ქართული თეატრის წარსული, მნიშვნელობა და აწინდელი მდგომარება. შემდეგ მისილიო სიტუებე წარმოსთქვეს სხვადასხვა ამხანაგებმა, რომელთაც აღნიშნეს, რომ ხელოვნება პროლეტარიატის გათეთვობიერებისა და კულტურულად ბრძოლის ბასრ იარაღად უნდა გაიგოცეს:

მ. ო. თ. ვ. აღ. ა. აღ.

მეტე ვა ვ ე თ ო კ ლ უ ბ შ ი (გერმანიის პროლეტარიატის სახელობის ორთაქალაქში) 8 იან. ახ. ლენინის სახელობის № 1 ტუყვის ქარხნის ფაბრიკაგემა გამართა საზავგუო აღება. დასწრე 600 ბავშვამდე, განსაკუთრებით ბავშვებსა, 4 10 წე—და, მათ შორის მე 83 წელის სკოლის მოწვევებუ, რომლის მეფუც არის ზემო დასახლებული ფაბრიკაში, ახ. ვანს წარქაიანის ოლტარობით ბავშვებმა სომხურ ენაზე შესრულეს სხვა და სხვა საშუალებე, აგრეთვე წარმოსთქვეს სკელები ქართულ და სომხურ ენებზე, აღტაცება იქცედენ ი—მ წე ბავშვები დღემდის გაფრთხილნი წარმოსთქვეს დასასრულ სომხურ ენაზე წარმოდგენის „წითელი ქედი“, რის შემდეგაც ბავშვებს დაუროგეს ბილეთულობა. უსახლორად განაბრებული ბავშვები მოახბერ საჭიკის ხმაზე აღტოდენ. თამაშობდენ. მაღლობის დარსნი არიან ს. ტრდაქტიანი და ა. გრიგორიანი, რომელთა მეთაურობით გაიმართეს „ქალიძე“. მათ განზრახული იქეთ ყოველ კვირა მართონ საზავგუო აღება, კარგი იქნებოდა ფაბრიკაგემა მოეწყო ასეთივე საზავგუო დღემდის ქართულ ენაზე.

ს. ა. თ. შ. რ. ო. კ. ი.

ხელოვნების ქრონიკა

ელო ანდრონიკაშვილის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავი საღამო გაიმართება იანვრის 20-ს კვირა საღამოს, რუსთველის თეატრში.

სახალხო თეატრში იანვრის 18 დღემდის ახალი პიესა გარდელისა „ქანდაკება“. იმავე პიესის გამეორებენ კვირას. დასდაგეს ვანი ბარველი.

გ. რამაქიძემ და წერა ახალი პიესა „ჰოლოშტრები“ ახალი ყიდისა. პიესა წაიკითხე: ხელოვანთა წრეში და მოიწონეს. დაიდგმის მოკლე ხანში.

დ. პავლიაშვილის სეყუბადებო „წერალეობა ხევისტოეთიდან“, ეთნოგრაფიული წარმომოე, რომელიც წინად „ს. ფურ.“ იმეუდებოდა, ამ ეჟამიდ ცალკე წიგნად იმეუდება სურათებით და ლექსიკონით.

რედაქციისაგან: ამ ნომრისთვის აწყობილი ნარკანის „ხელოვნება ჩვენში“, მ. ლვანიჩავას—„სახალხო სახლის“, ნ. ინსარაძის—„თეატრი და ხალხი“, კ. ხომერიკის—„საქართველოს სოჟლის მშრომელგმს“ ქ. ძვლიანთა—„კოლმექტივიზმი და ხელოვნება“ გ. ბააზოვის კაინი, ხელოვნების ქრონიკა და სხ. ტენიციურ მიზეზებით შემდეგი ნომრისთვის გადაილი.

რედაქტორი: იოსებ იმედაშვილი.
გამომცემელი: ომში დაჭირილია შრომის არტელი, ახ

ოვენი დაჭრილთა ურომის არბელ „ახალ წრესთან“

არსებული საგანმანათლებლო სექცია

„კულტურა“

ამით აცხადებს მკითხველი საზოგადოების,

მოწაფეთა მშობლების და სტუდენტების
საუურბადლებოდ,

რომ მას მოეპოება ყოველგვარი სხელმძღვანელო საშუალო და უმაღლეს
სასწავლებელთათვის და პოლიტიკური და სიტყვა-კაზმული ლიტერატურა.

გითუბათი გუიღვალავს წიგნები გიაცხავათ პაროხ. დაკლავით.

მსურველთ წიგნები დაეფრმობა შელაქათიან პირობებში—ნაწილ-ნაწილ დათქმულ ვადებში
ფულის გადახდით. დაწვრილებით პირობების გაცნობა შეიძლება სექციის ბინაზე.

აქვე იყიდება

„თაბაკი და ცხოვრები“-ს

ყველა ნომრები და მიიღება ხელის მიწერა.

მისამართი: თავისუფლების (ერეენის) მოედანი, ქარვასლაში, მეორე სართული.

რესტორანი „მცხეთა“

(ლენინისა და ყორღანოვის ქ. კუთხე, № 5, ზემოელის აფთიაქის ქვეშ)
სადილი (2 საათიდან), ვახშამი (ლამის 12 საათამდე)

ევროპიული და ჩვენებური

სასივი, ხარჭო, ღოჯი.

სანოვავე ახალ-აქალი.

ფასები ხელმისაწვდანი.

ყოველ დღე სიმებიანი
ორკესტრი.

პატივისცემით სერგო კახთელიძე.

რუსთაველის თეატრი

პვირას, 20 იანვარს, გაიმართება ელზა ანდრონიკაშვილის

წარმოდგენა

I „9 იანვარი“

ვ. ბალანჩივაძის პეისიდან 1 მოქ.

II „ბედის ტრიანი“

ან. ერისთავ-ხოშტიანიის რომანიდან

შალვა დადიანის გადაკეთებული 1 მოქ.

III „სასახლის პარკი“ 1 მოქ.

IV 1001 ცვიარაგა ქალისა

ამბასი. თარგ. შალ. დადიანისა 1 მოქ.

მონაწილეობენ: ვ. ბალანჩივაძე, შალვა დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი, ნ. დავითაშვილი, ნ. ჯავახიშვილი, ვ. ანჯაფარიძე, ე. დონაუი, თ. ჭავჭავაძე, ბ. გამრეკელი. მ გოგილაშვილი, შაიშვილი, გ. დავითაშვილი, ეროვლიანი, ა. ვასაძე, მკვითა. ღამბაშიძე, ჩხეიძე, უ. ჩხეიძე, მაღლაკელიძე.

პირველი ხელმძღვანელობენ კოტე შარვაშიანი და შალვა დადიანი დასაწყ. 8 ს. — ბილეთ. იყიდება კასაში

კვირას, 20 იანვარს

კვირას 20 იანვარს

გაქდვითი სიტყვის ამსახლავსა აბით აცხადებს, კურხალ „თეატრი და ცხოვრება“-ს გეითხველავის საუკუბადლებით,

რომ ყოველგვარი დაკვეთა მიიღება ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციაში (რუსთაველის პროსპექტი № 26).

აგრეთვე ექსპედიცია აცნობებს პროფინციის მკითხველებს, რომ მას ჰყავს სხვადასხვა ქალაქსა და დაბაში კონტრ აგენტები, რომელთადაც შეიძლება შეხებნ როგორც

ეურნალ „თეატრი და ცხოვრება“-სი ისე ყოველგვარი ეურნალ-გახეთების კონტრ-აგენტები:

- | | |
|---------------------------------------|--------------------------------|
| 1. ქ. ქუთაისში ტაბლამე | 12. სიღნაღში თევდორაშვილი |
| 2. ლანჩხუთში ურუშაძე | 13. ზუგდიდში პარტკომი |
| 3. ახალსენაკში ესბეუა | 14. სად. თბილისში მარშანი |
| 4. ხონში გალდავაძე | 15. ხაზურში ფოველი |
| 5. ფოთში ქაღიშვილი | 16. აბაშაში შიქაძე |
| 6. თელავში ჩიტოშვილი | 17. სამტრედიისი ახობაძე. |
| 7. ქიათურაში თოდრია | 18. ყვირილაში ცხომელიძე |
| 8. გორში მაჭავარიანი | 19. ბათუმში ნიკოლაშვილი |
| 9. ოზურგეთში პოლიტ-ვანათლება ბარანიძე | 20. შორაპანში გველესიანი |
| 10. სუფსაში ტაბიძე | 21. ხარაგოული მუშ. კოოპერატივი |
| 11. ჩიხატაურში ცინცაძე | 22. რიონში ხალუვაძე. |

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის გამგის მაგ. კუპარეშვილი

პირველხარისხოვან რუსთორან „ნოე“ -სთან, პროსპექტი კლუხანოვის № 103

ახლად გახსნილი ამირკავკასიაში ერთადერთი მდიდრულად და მხატვრ. მოწყობილი

თეატრი-რესტორანი

თეატრში ყოველდღე საღამოს 11 ხა თიღან მონაწილეობენ საუკეთესო ძეგები ანტისტეტსა, სრულიად განცალკევებით საყავო.

ყოველდღე 2-5 საათამდე საუკეთესო სადილი

ქლიზს დაკლებულ ფსახაში, სამზარეულო ადგილობრივი და ევროპიული ხაქმე-ლებისა, გამოცდრლი კულინარის ხადილის დროს სიმიბიანი ტრეპუსტრი ხელმძღვანელობით. უკრავს

პატივისცემით ნ. სიხარულიძე.